სსიპ კოლეჯი მოდუსი

04/12/2025

MES 4 25 0001726592

სსიპ კოლეჯი მოდუსის პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების და წახალისების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე, 61-ე მუხლების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის N44/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „მოდუსი“-ს წესდების მე-5 მუხლის „თ“ პუნქტის, სსიპ კოლეჯი მოდუსის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერის ანა კაპანაძის 2025 წლის 04 დეკემბრის N1725959 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს სსიპ კოლეჯი „მოდუსი“-ს პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების და წახალისების წესი დანართი N1-ის შესაბამისად;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ კოლეჯი ,,მოდუსი"-ს დირექტორის 2019 წლის 22 ივლისის N191 ბრძანება;
3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
4. დაევალოს კოლეჯის IT სპეციალისტს დავით მარანელს უზრუნველყოს ბრძანების გამოქვეყნება კოლეჯის ვებ-გვერდზე;
5. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერს ანა კაპანაძეს დოკუმენტი შესასრულებლად გადაუგზავნოს IT სპეციალისტს;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ კოლეჯი "მოდუსი"
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ქავთარაძე ნინო

ელექტრონული
შეფასებასმუიტ
ელექტრონულად

სსიპ კოლეჯი „მოდუსი“

დანართი N1
დამტკიცებულია
სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის
2025 წლის 04 დეკემბრის N1726592 ბრძანებით

სსიპ კოლეჯი მოდუსის პროფესიული განათლების მასწავლებლის
შეფასების და წახალისების წესი
2025 წელი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ კოლეჯი მოდუსის პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების/თვითშეფასების ზოგად პრინციპებს, პროცედურას და შესაძლო საჭირო პროცედურების დაგეგმვა/გატარებას;

მუხლი 2. შეფასების მიზანი

ა) უზრუნველყოს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური პროფესიული მიზნებისა და ამოცანების შემუშავება;

ბ) დროულად მოახდინოს პოტენციური სირთულეების იდენტიფიცირება კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ პროფესიული მიზნების განხორციელების პროცესში და განსაზღვროს მათი მოგვარების სტრატეგიები;

გ) შეაფასოს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების საქმიანობა სწავლების, კვლევისა და ადმინისტრაციულ/ორგანიზაციულ სფეროებში;

დ) გამოავლინოს პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობები და ხელი შეუწყოს მათ შემდგომ განვითარებას;

ე) გამოავლინოს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების საქმიანობის სუსტი მხარეები და აღმოუჩინოს მათ სათანადო დახმარება.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

1. წესში გამოყენებულ ტერმინებს ამ წესის მიზნებისთვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) თვითშეფასება -პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ აღქმული ძლიერი და სუსტი მხარეები;

ბ) შეფასება – შესრულებული სამუშაოს ეფექტიანობის გაზომვა. კარიერული განვითარების, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების, წახალისების, პროფესიული განვითარების საჭიროებებისა და სხვა სამართლებრივი შედეგების წარმოშობის წინაპირობების დადგენა და მათი საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესება.

გ) შეფასების კრიტერიუმები - შესრულებული სამუშაოს გაზომვის მიზნით, შემუშავებული კომპეტენციების ერთობლიობა;

დ) წახალისება - ინსტრუმენტი, რომელიც მოტივაციას უმაღლებს მასწავლებლებს გულმოდგინედ იმუშაონ თვითგანვითარების, კოლეჯის და პროფესიული განათლების სასარგებლოდ.

ე) წახალისების ფორმები - წახალისების ფორმა შესაძლოა იყოს როგორც მატერიალური ისე არამატერიალური.

მუხლი 4. შეფასების პრინციპები, პერიოდულობა, შეფასების პროცესის ადმინისტრირება და შედეგების ანალიზი

1. შეფასება წარმოებს სამართლიანობის, ობიექტურობის, გამჭვირვალობის, მიუკერძოებლობის, ინტერესთა შეუთავსებლობის დაუშვებლობის, ნდობის, დასაქმებულისა და დამსაქმებლის ინტერესთა თანაზომიერების პრინციპების დადგენით.

2. შეფასების პროცესს ახორციელებენ სსიპ კოლეჯი მოდუსის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო პროცესის ორგანიზების მენეჯერი და/ან დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;

3. სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო პროცესის ორგანიზების მენეჯერი ყოველი კალენდარული წლის ოქტომბრის პირველ კვირაში შეფასების ფორმას (დანართი N1) კოლეჯის ელექტრონული ფოსტით უგზავნის პროფესიული განათლების მასწავლებელს და აცნობს ინფორმაციას, თუ რა ვადაში უნდა წარადგინონ შევსებული ფორმა კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერის/სასწავლო პროცესის ორგანიზების მენეჯერის სახელზე. პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ, თვითშეფასების წარმოდგენის მაქსიმალურ ვადად განისაზღვრება ოქტომბრის ბოლო კვირა.
4. სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო პროცესის ორგანიზების მენეჯერი იწყებს პროფესიული განათლების მასწავლებლების შეფასებას, წარმოდგენილი ფორმის მიხედვით. სრულად შევსებული შეფასების ფორმა, ეგზავნება დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში, რომელიც სამსახურებრივი ბარათით ანგარიშს წარუდგენს დირექტორს (დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში - eflow), არაუგვიანეს 25 ნოემბრისა, სადაც დანართის სახით წარმოდგენილი იქნება ყველა შევსებული ფორმა. ამავე ანგარიშში, დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, დირექტორს აცნობს რეკომენდაციებს, თუ რა მიმართულებით საჭიროებენ პროფესიული განათლების მასწავლებლები გადამზადებას. დირექტორის თანხმობის შემთხვევაში, ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერი ამზადებს გადამზადების გეგმას მომდევნო წლისთვის არაუგვიანეს ნოემბრის ბოლო რიცხვისა. თანამშრომელთა გადამზადების გეგმაში მტკიცდება მომდევნო წლის სავარაუდო ტრენინგების შესახებ ინფორმაცია, კონკრეტული პირების და საჭიროებების გათვალისწინებით.

5. შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციას, სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო პროცესის ორგანიზების მენეჯერი და/ან დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში პროფესიული განათლების მასწავლებლებს უზიარებს ზეპირსიტყვიერად ან/და უგზავნის სამსახურებრივ ელ.ფოსტაზე.

მუხლი 5. შეფასების სამართლებრივი შედეგები

1. პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარების საჭიროების განსაზღვრა;
2. ფინანსური ან/და არაფინანსური წახალისება;
3. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება;

მუხლი 6. წესის დამტკიცება და დასაქმებულებისათვის მისი გაცნობა

1. დამტკიცებული და ძალაში შესული წესი გასაცნობად გადაეცემა ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის - „eflow" ან/და ელ.ფოსტის საშუალებით. აღნიშნული ქმედება ითვლება მასწავლებლისათვის წესის გაცნობად.
2. წესი გამოსაქვეყნებლად ეგზავნება სსიპ კოლეჯი მოდუსის IT სპეციალიტს;

მუხლი 7. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. კოლეჯს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს წესი ცალმხრივად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

დანართი N1

პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების კითხვარი

პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი, გვარი _____

უშუალო ხელმძღვანელი _____

უშუალო ხელმძღვანელის პოზიცია _____

შეფასების თარიღი _____

ინსტრუქცია: გთხოვთ, შეაფასოთ თითოეული დებულება 1-დან 4-მდე სკალაზე, სადაც:

- **1 - არ ვეთანხმები** / ეს სფერო საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.
- **2 - ნაწილობრივ ვეთანხმები** / ეს სფერო საჭიროებს გარკვეულ გაუმჯობესებას.
- **3 - ვეთანხმები** / დამაკმაყოფილებლად ვფლობ / ძირითადად ვეთანხმები.
- **4 - სრულად ვეთანხმები** / ეს არის ჩემი ძლიერი მხარე.

პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება/თვითშეფასება

შეფასების კრიტერიუმები	**მასწავლებლის თვითშეფასება**	**უშუალო ხელმძღვანელის შეფასება**
პროფესიული განათლების მასწავლებელი ეფექტურად გეგმავს გაკვეთილებს და თანხვედრაშია მოდულის მიზნებსა და სასწავლო შედეგებთან		
დროულად ამზადებს საჭირო დოკუმენტაციას		
იყენებს სწავლების სხვადასხვა მეთოდს, რომლებიც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების ჩართულობას		
იყენებს შესაბამის შეფასების ინსტრუმენტებს და ობიექტურად აფასებს პროფესიულ სტუდენტებს		
ინტერესდება სიახლეებით და ცდილობს ახალი მიდგომების/ტექნოლოგიების დანერგვას		
მონაწილეობს პროფესიულ ტრენინგებსა და სასწავლო აქტივობებში და განვითარების სურვილს ცხადად აჩენს		
იცავს შიდა წესებს, აკადემიურ ეთიკას		

პროფესიული განათლების მასწავლებლის საჭიროებების კვლევა

1. რომელი ასპექტი/ასპექტები წარმოადგენს თქვენთვის ამჟამად ყველაზე დიდ გამოწვევას, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მისი პრაქტიკული განხორციელების (წარმართვის) კონტექსტში?
   (ასეთის არსებობის შემთხვევაში წარმოდგინეთ თქვენი მოსაზრება, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეგიძლიათ ეს ველი ცარიელი დატოვოთ)

_____
_____
_____

2. დაასახელეთ პროფესიული განვითარების ძირითადი სფერო/სფეროები, სადაც ამჟამად გრძნობთ განვითარების საჭიროებას (მაგ: შეფასების ინსტრუმენტები, ინკლუზიური განათლება, დარგში დანერგილ სიახლეებზე წვდომა, სასწავლო პროცესში ონლაინ პლატფორმების/ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია,).

_____
_____
_____